ს.ს. "საქართველოს ბანკის" აქციონერთა საყურადღებოდ!

2008 წლის 22 თებერვალს დაგეგმილ აქციონერთა საერთო კრებაზე განსახილველი ს.ს. "საქართველოს ბანკის" წესდებაში შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილებები და შესწორებები:

მუხლი / პუნქტი	**ცვლილების ხასიათი**	**შენიშვნა**
8.10	არსებული ტექსტი ითვალისწინებს, რომ თუ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე არ იქნება ქვორუმი, მაშინ მომდევნო სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები მიუხედავად დამსწრე / წარმოდგენილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ოდენობისა. წესდების ახალი რედაქციით, თუ პირველ სხდომაზე სამეთვალყურეო საბჭო არ არის უფლებამოსილი გადაწყვეტილების მისაღებად, მომდვნო სხდომაზე ქვორუმი შედგება, თუ სხდომას დაესწრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა 25% მაინც. თუ მეორე სხდომაც არ არის უფლებამოსილი გადაწყვეტილების მისაღებად, სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და მოწვეულ უნდა იქნას აქციონერთა საერთო კრება	ცვლილებები შეტანილია "მეწარმეთა შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად

დამატებითი განმარტებების მისაღებად, გთხოვთ, წერილობითი ფორმით მიმართოთ სს "საქართველოს ბანკის" სათაო ოფისში ინვესტორებთან ურთიერთობების დეპარტამენტს 2008 წლის 12 თებერვლამდე.